რეგიონებში ელექტრონული პეტიციების IChange.gov.ge პლატფორმის საინფორმაციო კამპანია დაიწყო

ქუთაისსა და ზუგდიდში ელექტრონული პეტიციების პლატფორმის ichange.gov.ge-ის პრეზენტაცია გაიმართა. საიას და □□□□□ A წარმომადგენლებმა მოქალაქეებს ichange.gov.ge-ის ფუნქციები და ამ პლატფორმით სარგებლობის წესები გააცნეს. შეხვედრას ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების, მედიისა და მუნიციპალიტეტების წარმომადგენლებიც ესწრებოდნენ. კამპანიის მიზანია, მოქალაქეებმა აქტიურად გამოიყენონ პეტიციის პლატფორმა და წამოჭრან ის თემები, რომლებიც მათ აწუხებთ.

კამპანიის ფარგლებში შეხვედრები ბათუმსა და ოზურგეთშიც გაიმართება.

პროექტი დაფინანსებულია USAID-ის პროგრამის □□□□□□□□□□□□□□ მმართველობის ინიციატივა A□□ (GGI) მიერ. კამპანიის განმახორციელებელი პარტნიორია სამოქალაქო საზოგადოების რეგიონული ქსელი (R-CSN).